NOM: **Évaluation en langue d'origine (CYCLE III) : Géorgien**

ტესტი 1

Bonjour ! Hello !
Buon giorno ! Buenos dias !
…
…

ფრანგული ენა მსოფლიოში

ჩვენი პლანეტა დღესდეობით 6 მილიონ მცხოვრებს ითვლის, რომელიც დაახლოებით 200 სახელმწიფოსა და ქვეყანაში ცხოვრობს. ამ ქვეყნის მცხოვრებნი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. არსებობს რამოდენიმე ასობით ენა. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ რამოდენიმე ათასობით მცხოვრები ლაპარაკობს. ინგლისური ენა ყველაზე გამოყენებადი ენაა საერთაშორისო ვაჭრობისათვის, მაგრამ ჩინურ ენას ყველაზე მეტად ლაპარაკობენ მსოფლიოში. 200 მილიონზე მეტი ადამიანი იყენებს ფრანგულ ენას ყოველდღიურ ცხოვრებაში; 60 მილიონი საფრანგეთში და დანარჩენი კი სხვა ქვეყნებში, როგორიცაა ბელგია, შვეიცარია, კანადა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყნები.

ფრანგული სკოლა

საფრანგეთში სკოლა სავალდებულოა 16 წლამდე. ბავშვები ჯერ დაწყებით სკოლაში სწავლობენ, შემდეგ კოლეჯში და ბოლოს ლიცეუმში განაგრძობენ სწავლას. საბავშვო ბაღი, რომელიც 6 წლამდე ასაკის ბავშვებს იღებს, არ არის სავალდებულო, მაგრამ ის ამზადებს ბავშვებს დაწყებითი სკოლისათვის და სასურველია რომ ყველა მშობელმა მიიყვანოს შვილი.
დაწყებით სკოლაში ბავშვი საფუძვლიან ცოდნას იძენს, კერძოდ სწავლობს კითხვას, წერას და დათვლას, ასევე სწავლობს უცხო ენას, მცირეოდენ ინფთორმატიკას და სხვას.
ამიტომ საჭიროა, ბავშვი იყოს ბეჯითი და პუნქტუალური. როდესაც მოსწავლე გაკვეთილს აცდენს, ვალდებულია, მშობლის მიერ დამოწმებული ცნობა წარადგინოს.
ყოველ სკოლაში ტარდება 5 გაკვეთილი, რომელიც 5 სხვადასხვა სფეროს შეესაბამება. მაგალითის სახით გაეცანით 8 წლის ასაკის ბავშვის სასწავლო ცხრილს:

	ორშაბათი	სამშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
08-30	ფრანგული	ფრანგული	ფრანგული	ფრანგული
	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა
10-00 10-20	შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა			
	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა
11-30	კითხვა	კითხვა		
01-30	ს ა დ ი ლ ი ს		შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა	
	კითხვა	ბუნება	ბუნება	ისტორია
	გეოგრაფია	ინფორმატიკა	ცურვა	კითხვა
03-00 03-20	შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა			შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა
04-30			პოეზია	

მხედველობაში იქონიეთ შემდეგი ნივთები და ტანსაცმელი :

აუზისათვის : საცურაო კოსტუმი, საცურაო ქუდი, პირსახოცი.
ფიზაღზრდისათვის : მოკლე შარვალი, დაბალყელიანი კეტები ან ბოტასები.
სადილისათვის მოიტანეთ კბილის ჩოთქი და პირსახოცი.

უპასუხე 'შეკითხვებს და 'შემოხაზე სწორი პასუხი

1.რომელ ენას ლაპარაკობენ ყველაზე მეტად მსოფლიოში **?**

ფრანგულს.
ინგლისურს.
ჩინურს.

2.ფრანგულ ენას მხოლოდ საფრანგეთში ლაპარაკობენ **?**

დიახ.
არა.

3.არის თუ არა სკოლა სავალდებულო 4 წლის ბავშვისათვის **?**

დიახ.
არა.

…/ 2 + …/ 2 + …/ 2 = …/6

4.ცხრილის მიხედვით რამდენ ხანს გრძელდება თითოეული შესვენება **?**

40 წუთი.
30 წუთი.
20 წუთი.

5.კვირის რომელ დღეს არ არის კითხვის გაკვეთილი **?**

ორშაბათს.
სამშაბათს.
ხუთშაბათს.
პარასკევს.

6. რომელ დღეს ევალებათ ბავშვებს საცურაო კოსტუმისა და პირსახოცის მოტანა **?**

ორშაბათს.
სამშაბათს.
ხუთშაბათს.
პარასკევს.

…../ 2 + ….. /2 + …../ 2 = …../ 6